პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიმოხილვა

(მეორე წარდგენა)

ივლისი, 2015 წელი

პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

2015 წელი

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....2

1. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები 6

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები.....6

1.2 სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 11

2. სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა.....15

3. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები და გავლენა ეკონომიკურ გარემოზე 19

დანართები: 28

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები

- ,,საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტის გადამუშავებული ვარიანტი ეყრდნობა ეკონომიკური გარემოს კორექტირებულ მაჩვენებლებს 2015 წლისთვის.[1]

- ეკონომიკური გარემოს საპროგნოზო მაჩვენებლებისა და ცალკეული დისკრეციული გადაწყვეტილებების გავლენით, სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტი ცვლილების პირველი წარდგენით წარმოდგენილ აგრეგატულ მაჩვენებლებთან მიმართებაში კორექტირებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, 2015 წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით ითვალისწინებს შემოსულობების (სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ოთხ კომპონენტს: შემოსავლები, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) ცვლილებას როგორც აგრეგატულ (ზრდას 25 მლნ ლარით), ისე კომპონენტების დონეზე, კერძოდ, 2015 წლის ბიუჯეტის კანონის გეგმასთან შედარებით გათვალისწინებულია შემოსავლების შემცირება 139.1 მლნ ლარით, ძირითადად საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის შემცირების გავლენით (200 მლნ ლარის ოდენობით) და არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის გეგმური მაჩვენებლის ზრდა 150 მლნ ლარით. ამასთან, გათვალისწინებულია საგარეო წყაროდან სახსრების ზრდა გრანტების 40.9 მლნ ლარით და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების 185.0 მლნ ლარით.

- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წარმოდგენილი მაკროეკონომიკური სცენარით, 2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 7,444 მლნ ლარს, რაც 2015 წლისთვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელზე 284 მლნ ლარით (3.7%-ით), ხოლო პროექტით წარმოდგენილ გეგმაზე 84 მლნ ლარით (1.1%-ით) ნაკლებია. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლები ეყრდნობა 2015 წლისათვის ეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო დინამიკას, თუმცა არ ითვალისწინებს მიმდინარე წელს საგადასახადო შემოსავლების მობილიზების ტენდენციებს. აღნიშნული მიმართულებით სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ, საგადასახადო შემოსავლების 6 თვის მდგომარეობით მობილიზების შესახებ ხაზინის ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდზე დაყრდნობით აგრეგატულ დონეზე საგადასახადო შემოსავლების წარმოდგენილი მაჩვენებლის შესრულება მიმდინარე წელს ნაკლებ სავარაუდოა სირთულეებს უკავშირდებოდეს (ცვლილების შედეგად), თუმცა ცალკეული ტიპების მიხედვით შესაძლოა გამოვლინდეს გადახრები ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრული მაჩვენებლებისაგან.

- რაც შეეხება გადასახდელებს (სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები მოიცავს ოთხ კომპონენტს: ხარჯები, არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდა, ვალდებულებების კლება), წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გადასახდელების მოცულობა 2015 წლის ბიუჯეტის კანონის გეგმის (ასევე, პირველი წარდგენის ცვლილებით წარმოდგენილი გეგმით) დონეზე ნარჩუნდება, თუმცა ცვლილებებია გათვალისწინებული კომპონენტების დონეზე. კერძოდ, მეორე წარდგენით წარმოდგენილი მაჩვენებლებით პირველ წარდგენასთან შედარებით 4 მლნ ლარით შემცირებულია ხარჯების მუხლით გადასახდელები, ხოლო შესაბამისი ოდენობით გაზრდილია ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები. შესაბამისად, მეორე წარდგენით, ჯამურად 2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, შემცირებულია არაფინანსური აქტივების ზრდის (ე.წ. კაპიტალური ხარჯები)

[1] მიმოხილვა ითვალისწინებს მეორე წარდგენით წარმოდგენილი აგრეგატების მიმოხილვას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

გეგმური მოცულობა 79.5 მლნ ლარით, ხოლო სხვა კომპონენტები იზრდება აღნიშნული ცვლილების შესაბამისად. კერძოდ, ხარჯები იზრდება 11.2 მლნ ლარით, ფინანსური აქტივების ზრდა 28.3 მლნ ლარით ხოლო ვალდებულებების კლება 40 მლნ ლარით. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური კლასიფიკაციის საფუძველზე აგრეგატული მაჩვენებლების შედარება 2015 წლის ბიუჯეტის კანონთან არასრულყოფილ სურათს იძლევა, რამდენადაც არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის ზემოაღნიშნული შემცირება უკავშირდება მხარჯავი დაწესებულებების დონეზე ასიგნებების შემცირების საფუძველზე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების ზრდას 85 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც ხარჯების მუხლით იგეგმება (რამდენადაც აღნიშნული მუხლით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის სახსრების გაცემა ტრანსფერების სახით აღირიცხება), თუმცა მიზნად ისახავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების შემცირების საფუძველზე ცვლილების კანონპროექტით გათვალისწინებულია საგარეო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის პროგრამის ასიგნებებისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ზრდა, შესაბამისად, 52.4 მლნ ლარის და 20 მლნ ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა

- საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით წარმოდგენილი არაა ცვლილებები პირველ წარდგენასთან შედარებით. შესაბამისად, ისევე როგორც პირველი წარდგენით, გათვალისწინებულია ცვლილებები 2015 წლის ბიუჯეტის კანონონთან მიმართებაში როგორც ვალდებულებების ზრდის, ისე ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის სახსრებისათვის.

- კერძოდ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე 14.1 მლნ ლარით (0.9%) მეტია. აღნიშნული ერთი მხრივ უკავშირდება საშინაო ვალდებულებების (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) წმინდა ზრდის შემცირებას 100 მლნ ლარით და საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდას 114.1 მლნ ლარით. საგარეო ვალდებულებების ზრდის ცვლილება კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებაში ძირითადად დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების საპროგნოზო მოცულობის 185.0 მლნ ლარით ზრდასთან. ხოლო საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები მცირდება 70.9 მლნ ლარით 619.1 მლნ ლარამდე. რაც შეეხება 2015 წელს საგარეო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვას, პროექტით გათვალისწინებულია საგარეო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის სახსრების ზრდა 52.4 მლნ ლარით, რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით უკავშირდება ერთი მხრივ, ვალდებულებების დაფარვის გრაფიკის ცვლილებას, მეორე მხრივ, ვალუტის კურსის ცვლილებას.

- რაც შეეხება სახელმწიფო ვალის მშპ-თან ფარდობას, 2015 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით დაგეგმილი იყო სახელმწიფო ვალის ზრდა მშპ-ის 37.1%-მდე, ხოლო გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 7.8%-ული პუნქტით იზრდება და 44.9%-ს უტოლდება.

ძირითადი ფისკალური ინდიკატორები და გავლენა ეკონომიკურ გარემოზე

- ფისკალური პოლიტიკის ანალიზისას პირველი საკითხია ფისკალური პოლიტიკის მიმართულების- ექსპანსიური თუ შემზღუდველი - შეფასება. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის მეშვეობით დეფიციტის ზრდას, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ეკონომიკის სტიმულირებისათვის. საპირისპირო მიმართულების ფისკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. მეორე საკითხია ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ შესაძლებელია შეფასდეს

გამოშვების (მშპ-ს) პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების გადახრის მიმართულებითა და ზომით. მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას (ანუ როდესაც გამოშვების პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების (მშპ-ს) გადახრა უარყოფითია) და პირიქით, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ბუმისას ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ასეთ დროს ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მისაღებად მიიჩნევა არა ანტიციკლური, არამედ პროციკლური ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად მაღალი საგარეო დისბალანსის პირობებში.

- 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების გადამუშავებული პროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო პირველად წარმოდგენილ ვარიანტთან შედარებით არსებით ცვლილებას არ განიცდის, თუმცა განსხვავებულია პროექტს თანდართული ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლები[2]. კერძოდ, ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტზე თანდართული მაჩვენებლების მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო დეფიციტი (GFSM 2001) -0.9%-მდე გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს, მაშინ როდესაც ცვლილების პროექტის პირველადი ვერსიის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი -1.3%-ის დონეზე იყო განსაზღვრული. აღნიშნული განსხვავება დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ნაერთი ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს პირველად ვარიანტთან შედარებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გადასახდელების შემცირებას 125 მლნ ლარით და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდას ამავე ოდენობით. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული რეკლასიფიკაცია დაკავშირებულია კაპიტალური ხარჯების ნაწილის განხორციელების დაგეგმვასთან არა უშუალოდ მხარჯავი დაწესებულების/თვითმმართველი ერთეულის, არამედ ამ დაწესებულებების/თვითმმართველი ერთეულის მმართველობაში არსებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ. რაც შეეხება მთლიანი ფისკალური ბალანსის მაჩვენებელს, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკით ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო აქტიურად გამოიყენება, საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვერსიის მიხედვით გაანგარიშებული აღნიშნული მაჩვენებლის საპროგნოზო მოცულობა არსებითად არ განსხვავდება 2015 წლის ბიუჯეტის კანონს თანდართული ნაერთი ბიუჯეტის საფუძველზე გაანგარიშებული ანალოგიური მაჩვენებლისაგან. კერძოდ, ბიუჯეტის კანონს თანდართული მაჩვენებლების მიხედვით მთლიანი ფისკალური ბალანსი -3.1%-ს შეადგენდა, ხოლო კორექტირებული ნაერთი ბიუჯეტის ინფორმაციაზე დაყრდნობით გათვალისწინებულია მისი გაუმჯობესება -3.0%-მდე (იხ დიაგრამა #5).

- დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შესაფასებლად მიზანშეწონილია ასევე ციკლურად კორექტირებული ბალანსის და სტრუქტურული ბალანსის მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ბიუჯეტის ბალანსის აგრეგატებს აკორექტირებს ეკონომიკური ციკლის ეტაპის მიხედვით და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლისაგან ამორიცხავს ეკონომიკური ციკლის გავლენას. აღნიშნული მაჩვენებლები საბიუჯეტო ოფისის შეფასებით გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს, თუმცა აქვე საყურადღებოა, რომ 2%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზზე დაყრდნობით მოსალოდნელია უარყოფითი გამოშვების გაპის გაღრმავება 2015 წლისათვის და ბალანსის მაჩვენებლების აღნიშნული დინამიკა შესაძლოა მიანიშნებდეს ფისკალური პოლიტიკის მცირედით პროციკლურ ტენდენციაზე.

- გასათვალისწინებელია, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ნაერთი ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს პირველად ვარიანტთან შედარებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გადასახდელების შემცირებას 125 მლნ ლარით და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით

[2] გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული მაჩვენებლები ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 38, პუნქტი 8)

გადასახდელების ზრდას ამავე ოდენობით. ამასთან, მეორე წარდგენით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის ფარდობა მშპ-სთან, რომლის ლიმიტი ეკონომიკური თავისუფლების აქტით 30%-ის დონეზეა განსაზღვრული, 30.0%-ს შეადგენს, ანალოგიური მაჩვენებელი პირველი წარდგენისას 30.4%-ს შეადგენდა. ჯამურად, ბიუჯეტის კანონს თანდართულ მაჩვენებლებთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილებით, გათვალისწინებულია როგორც სახელმწიფო მოხმარების (109 მლნ ლარით), ისე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების(ე.წ. კაპიტალური ხარჯები) შემცირება (261 მლნ ლარით). ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდა კი 185.7 მლნ ლარს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ფისკალურ ინსტრუმენტებთან მშპ-ს დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოხმარების რეალურ შემცირებას საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია საშუალოდ ჰქონდეს დადებითი გავლენა რეალურ მშპ-ზე, ხოლო ინვესტიციების შემცირებას კი - უარყოფითი (დეტალურად იხ. ანგარიშის შესაბამისი ნაწილი).

1. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით **შემოსულობების** საპროგნოზო მოცულობა კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 25.0 მლნ ლარით (0.3%-ით) და შეადგენს 9,900.0 მლნ ლარს. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო შემოსულობების 7.8%-იანი ზრდა, ხოლო წარმოდგენილი კანონპროექტით ზრდის მაჩვენებელი იმატებს 8.1%-მდე (2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 18.7%-ს შეადგენდა).

	2014 წელი შესრულება	2015 წელი		2015 წ. პროექტი / 2015 წ. გეგმა		2015 წ. პროექტი / 2014 წ. შესრულება	
		გეგმა	პროექტი	სხვაობა	%	სხვაობა	%
სულ შემოსულობები	9,157.1	9,875.0	9,900.0	**25.0**	**0.3%**	**742.9**	**8.1%**
შემოსავლები	7,434.6	8,090.0	7,950.9	**-139.1**	**-1.7%**	**516.3**	**6.9%**
გადასახადები	*6,847.0*	*7,600.0*	*7,400.0*	***-200.0***	***-2.6%***	***553.0***	***8.1%***
გრანტები	*278.7*	*215.0*	*255.9*	***40.9***	***19.0%***	***-22.8***	***-8.2%***
სხვა შემოსავლები	*308.9*	*275.0*	*295.0*	***20.0***	***7.3%***	***-13.9***	***-4.5%***
არაფინანსური აქტივების კლება	80.6	85.0	235.0	**150.0**	**176.5%**	**154.4**	**191.5%**
ფინანსური აქტივების კლება	72.1	90.0	90.0	**0.0**	**0.0%**	**17.9**	**24.8%**
ვალდებულებების ზრდა	1,569.7	1,610.0	1,624.1	**14.1**	**0.9%**	**54.4**	**3.5%**
საგარეო (მათ შორის):	996.9	1,010.0	1,124.1	**114.1**	**11.3%**	**127.2**	**12.8%**
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	*515.1*	*320.0*	*505.0*	***185.0***	***57.8%***	***-10.1***	***-2.0%***
საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები	*481.7*	*690.0*	*619.1*	***-70.9***	***-10.3%***	***137.4***	***28.5%***
საშინაო	*572.8*	*600.0*	*500.0*	**-100.0**	**-16.7%**	**-72.8**	**-12.7%**

ცხრილი 1: *სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2014-2015 წლებში (მლნ ლარი).*

კანონპროექტის მიხედვით, შემოსულობების აგრეგატული მაჩვენებლის ზრდა ითვალისწინებს როგორც საშინაო წყაროდან, ასევე საგარეო წყაროდან მოზიდული სახსრების კორექტირებას. კერძოდ, შემოსულობების ძირითადი კომპონენტები მცირდება: საშინაო წყაროდან - გადასახადები (200.0 მლნ ლარით) და საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები (100.0 მლნ ლარით), ხოლო საგარეო წყაროდან - საინვესტიციო გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები (70.9 მლნ ლარით). ამავდროულად, გათვალისწინებულია სახსრების მოზიდვა: საშინაო დაფინანსების წყაროდან არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობებისა (150.0 მლნ ლარის ოდენობით) და სხვა შემოსავლების (20.0 მლნ ლარის ოდენობით) ზრდის, ხოლო საგარეო დაფინანსების წყაროდან - გრანტებისა (40.9 მლნ ლარით) და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების (185.0 მლნ ლარით) მატების გავლენით. შედეგად, ჯამური შემოსულობების ზრდა შეადგენს 25.0 მლნ ლარს. ფინანსური აქტივების კლებიდან (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) დაგეგმილი შემოსულობების მოცულობა არ იცვლება და შეადგენს 90 მლნ ლარს.

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად გრანტებისა და სხვა შემოსავლების მაჩვენებლების ზრდისა, კანონპროექტის მიხედვით, **შემოსავლების (შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს)** საპროგნოზო სიდიდე კანონით დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 139.1 მლნ ლარით (1.7%-ით) და შეადგენს 7,950.9 მლნ ლარს, ძირითადად საგადასახადო შემოსვალების 200 მლნ ლარის ოდენობით შემცირების გავლენით. ამასთან, თუ შემოსავლების ზრდის ტემპი 2014 წელს 8.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული იყო 8.8%-იანი ზრდა, წარმოდგენილი კანონპროექტით აღნიშნული მაჩვენებელი მცირდება 6.9%-მდე (იხ. ცხრილი 1). ანალოგიურად განსხვავებულია საგადასახადო შემოსავლების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელიც. კერძოდ, თუ ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული იყო საგადასახადო შემოსავლების მოცულობის ზრდა 11.0%-ით 2014 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელთან მიმართებაში, ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით საგადასახადო შემოსავლების ზრდა 8.1%-ს შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი

	2010-2011წწ	2011-2012წწ	2012-2013წწ	2013-2014წწ	2014-2015წწ კანონი	2014-2015წწ** პროექტი
საგადასახადო შემოსავლები	26.3%	8.8%	-0.4%	10.9%*	11.0%	8.1%
საშემოსავლო გადასახადი	28.6%	13.7%	9.7%	6.9%*	16.5%	8.9%
მოგების გადასახადი	44.5%	2.3%	-5.2%	2.8%	8.6%	14.7%
დამატებული ღირებულების გადასახადი	26.4%	9.2%	-6.3%	15.8%	7.0%	6.3%
აქციზი	9.7%	7.2%	9.5%	12.2%	16.9%	11.1%
იმპორტის გადასახადი	32.4%	-3.4%	-0.8%	6.2%	20.1%	-28.3%
სხვა გადასახადები	-40.4%	-10.3%	-26.2%	-9.1%	3.5%	3.5%

ცხრილი 2: *საგადასახადო შემოსავლების ზრდის ტემპი (%, 2010-2015 წწ).*
**საშემოსავლო გადასახადის დათვლისას გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებისათვის ხაზინის შესაბამის ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრები (სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა სახსრებმა ჯამში 128.3 მლნ შეადგინა).*

***აღნიშნული სვეტი ასახავს ზრდის ტემპს 2014 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელსა და ბიუჯეტის კანონის ცვლილებით წარმოდგენილ მაჩვენებელს შორის.*

საგადასახადო შემოსავლების წარმოდგენილი მაჩვენებლების საფუძვლიანობის შეფასებისათვის უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული დამოუკიდებელი საპროგნოზო მაჩვენებლები, რომლებიც ეყრდნობა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) წარმოდგენილ ეკონომიკურ პარამეტრებს: ეკონომიკური ზრდა 2%; ინფლაცია 3%; საქონლის იმპორტის ზრდა (-7.2%). ხოლო 2014 წლისთვის გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის მოსალოდნელი მაჩვენებლები, შესაბამისად 4.8% და 3.1%-ის ოდენობით. საყურადღებოა, რომ პარლამენტის საბიუეჯტო ოფისის შეფასებები არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური გარემოს წარმოდგენილი სცენარის ან მისი განსხვავებული განვითარებების ალბათობის შეფასებას, არამედ წარმოადგენს ეკონომიკური პარამეტრების შესაბამისი განვითარების შემთხვევაში ფისკალური აგრეგატების მოსალოდნელ დინამიკას(ეკონომიკური პარამეტრების განსხვავებული მაჩვენებლების შემთხვევაში საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების სენსიტიურობისათვის იხ. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო

მაჩვენებლები და სენსიტიურობა მაკროეკონომიკური პარამეტრების განსხვავებული განვითარების შემთხვევაში (მარტი, 2015 წელი).[3] მაკროეკონომიკურ აგრეგატებსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის ელასტიურობის კოეფიციენტები[4] დაშვების საფუძველზე განისაზღვრება და ძირითად შემთხვევებში 1-ს უტოლდება. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადების ცალკეული ტიპებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტი შესაძლოა განსხვავდებოდეს, ელასტიურობის კოეფიციენტის 1-თან ტოლობის დაშვება, დამატებითი კვლევების არარსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკით, მისაღებად ითვლება. ამასთან, ერთი მხრივ, საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლები არ ითვალისწინებს შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებიდან მიმართულ სახსრებს, შესაბამისად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზები ითვალისწინებს დაშვებას, რომ 2014-2015 წლებში ზემოაღნიშნული სახსრები უტოლდება დაუბეგრავი მინიმუმის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს საშემოსავლო გადასახადიდან ფაქტობრივად მიმართულ ოდენობას (128.3 მლნ ლარი). მეორე მხრივ, კალკულაცია ეყრდნობა აქციზის განაკვეთის ცვლილების შედეგად მოსალოდნელი ზეგავლენის დაშვებას 110 მლნ ლარის დონეზე, თუმცა ამ ოდენობასთან დაკავშირებით, როგორც აღნიშნულ იქნა საბიუჯეტო ოფისის დასკვნაში საკანონმდებლო ცვლილების შესახებ, მიზანშეწონილია დამატებით გამახვილდეს ყურადღება შესაბამის პროდუქციაზე მოთხოვნის მოსალოდნელ ცვლილებაზე ფასის ზრდის გავლენით.

როგორც ცხრილიდან #3 ჩანს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წარმოდგენილი მაკროეკონომიკური სცენარით, 2015 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 7,444 მლნ ლარს, რაც 2015 წლისთვის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელზე 284 მლნ ლარით (3.7%-ით) , ხოლო პროექტით წარმოდგენილ გეგმაზე 84 მლნ ლარით (1.1%-ით) ნაკლებია. რაც შეეხება გადასახადების ცალკეულ ტიპებს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლები ნაკლებია წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებზე საშემოსავლო გადასახადისათვის (42 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 2%-ით), მოგების გადასახადისა (49 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 5.2%-ით) და დამატებითი ღირებულების გადასახადისათვის (41 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 1.2%-ით), ამასთან, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებლები მეტია წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებზე აქციზისთვის (28 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 3.1%-ით) და იმპორტის გადასახადისთვის (20 მლნ ლარით და წარმოდგენილი მაჩვენებლის 29.4%-ით).

[3] იხ. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები და სენსიტიურობა მაკროეკონომიკური პარამეტრების განსხვავებული განვითარების შემთხვევაში (მარტი, 2015 წელი) http://pbo.parliament.ge/ge/reportspapers/core-reports/budget-review/item/133-2015.

[4] ელასტიურობის კოეფიციენტი ასახავს საგადასახადო შემოსავლების (ცალკეული ტიპების მიხედვით) %-ულ ცვლილებას ეკონომიკური პარამეტრების 1%-ით ცვლილების გავლენით.

საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი					
				საპროგნოზო მაჩვენებლების გადახრა პროექტით გათვალისწინებული გეგმიდან	
	გეგმა (2015)	**პროექტი (2015)**	**საპროგნოზო მაჩვენებლები***	**ათასი ლარი**	**%**
საგადასახადო შემოსავლები	**7,728,000****	**7,528,000****	**7,444,000****	**-84,000**	**-1.1%**
საშემოსავლო გადასახადი**	2,213,000**	**2,078,000****	**2,036,000****	**-42,000**	**-2..0%**
მოგების გადასახადი	900,000	**951,000**	**902,000**	**-49,000**	**-5.2%**
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,529,000	**3,506,000**	**3,465,000**	**-41,000**	**-1.2%**
აქციზი	947,000	**900,000**	**928,000**	**28,000**	**3.1%**
იმპორტის გადასახადი	114,000	**68,000**	**88,000**	**20,000**	**29.4%**
სხვა გადასახადები	25,000	**25,000**	**25,000**	**0**	**0.0%**

* საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების მისაღებად გათვალისწინებულია 2014 წლის არსებული ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მონაცემები, ასევე 2015 წლისთვის ეკონომიკური ზრდის, ინფლაციის დონის, საქონლის იმპორტის ზრდის მონაცემები BDD-ის მიხედვით.

**საშემოსავლო გადასახადის დათვლისას გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნებისათვის ხაზინის შესაბამის ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრები (სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულმა სახსრებმა ჯამში 128.3 მლნ შეადგინა).

***ცხრილი 3**: საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (ათასი ლარი, 2015 წელი).*

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული საპროგნოზო მაჩვენებლები ეყრდნობა 2015 წლისათვის ეკონომიკური პარამეტრების საპროგნოზო დინამიკას, თუმცა არ ითვალისწინებს მიმდინარე წელს საგადასახადო შემოსავლების მობილიზების ტენდენციებს. აღნიშნული მიმართულებით სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ, საგადასახადო შემოსავლების 6 თვის მდგომარეობით მობილიზების შესახებ ხაზინის ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელდა საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით. ცხრილ #4-ში წარმოდგენილია ზემოაღნიშნულ მიდგომაზე დაყრდნობით მიმდინარე წლის მოსალოდნელი მაჩვენებლების პირველადი შეფასება. კერძოდ, როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული მეთოდით მიღებულ იქნა ზემოთ მოცემული პროგნოზებისაგან განსხვავებული მოსალოდნელი მაჩვენებლები და ამ მეთოდზე დაყრდნობით აგრეგატულ დონეზე საგადასახადო შემოსავლების წარმოდგენილი მაჩვენებლის შესრულება მიმდინარე წელს ნაკლებ სავარაუდოა სირთულეებს უკავშირდებოდეს (ცვლილების შედეგად), თუმცა ცალკეული ტიპების მიხედვით შესაძლოა გამოვლინდეს გადახრები ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრული მაჩვენებლებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი თავისი შინაარსით ითვალისწინებს დაშვებას, რომ სტიმულები საგადასახადო შემოსავლების გადახდის წლის განმავლობაში გადანაწილებასთან დაკავშირებით არ შეცვლილა და ამასთან, ეყრდნობა მხოლოდ წლის განმავლობაში მობილიზების ტენდენციებს და არ ითვალისწინებს ეკონომიკური გარემოს ტენდენციებს.

	6 თვე შესრულება	ექსტრაპოლაციით დადგენილი წლიური მაჩვენებელი	2015 წელი		პროგნოზის გადახრა პროექტით გათვალისწინებული მაჩვენებლიდან	
			კანონი	პროექტი	ათასი ლარი	%
საგადასახადო შემოსავლები	**3,666,617**	**7,606,054**	**7,600,000**	**7,400,000**	**206,054**	**2.8%**
საშემოსავლო გადასახადი	1,015,895	**2,039,695**	2,085,000	1,950,000	**89,695**	**4.6%**
მოგების გადასახადი	566,773	**1,054,606**	900,000	951,000	**103,606**	**10.9%**
დღგ	1,663,757	**3,571,014**	3,529,000	3,506,000	**65,014**	**1.9%**
აქციზი	373,582	**844,295**	947,000	900,000	**-55,705**	**-6.2%**
იმპორტის გადასახადი	35,847	**73,750**	114,000	68,000	**5,750**	**8.5%**
სხვა გადასახადები	10,763	**22,694**	25,000	25,000	**-2,306**	**-9.2%**

ცხრილი 4: *საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი 6 თვის მაჩვენებლების ექსტრაპოლაციაზე დაყრდნობით(2015 წელი, ათასი ლარი, %). ხაზინის ოპერატიული ინფორმაცია.*

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 20.0 მლნ ლარით (7.3%-ით) და განისაზღვრება 295.0 მლნ ლარის ოდენობით. ცვლილება ძირითადად ეხება შერეულ და არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, რომლის მოცულობაც იმატებს 19.4 მლნ ლარით და 86.1 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრება. კერძოდ, როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ განმარტებით ბარათშია მითითებული, სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს ადმინისტრაციული ხარჯების მაქსიმალურ შემცირებას და რესურსების გამოთავისუფლებას, აღნიშნული თანხების მობილიზება მოხდება სწორედ სსიპ-ების მიერ საკუთარი შემოსავლებიდან გამოთავისუფლებული სახსრების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვით.

პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

	2014 წელი შესრულება	2015 წელი გეგმა	2015 წელი პროექტი	2015 წ. პროექტი / 2015 წ. გეგმა		2015 წ. პროექტი / 2014 წ. შესრულება	
				სხვაობა	%	სხვაობა	%
სხვა შემოსავლები	308.9	275.0	295.0	**20.0**	**7.3%**	**-13.9**	**-4.5%**
შემოსავლები საკუთრებიდან	*28.7*	*54.0*	*54.0*	***0.0***	***0.0%***	***25.3***	***88.4%***
პროცენტები	*22.1*	*42.0*	*42.0*	***0.0***	***0.0%***	***19.9***	***90.1%***
დივიდენდები	*0.2*	*5.0*	*5.0*	***0.0***	***0.0%***	***4.8***	***2187.3%***
რენტა	*6.4*	*7.0*	*7.0*	***0.0***	***0.0%***	***0.6***	***10.2%***
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	83.4	72.7	72.7	**0.0**	**0.0%**	**-10.8**	**-12.9%**
ჯარიმები, სანქციები და საურავები	73.9	80.0	80.0	**0.0**	**0.0%**	**6.1**	**8.2%**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	21.6	1.7	2.3	**0.6**	**35.3%**	**-19.3**	**-89.4%**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	101.3	66.7	86.1	**19.4**	**29.1%**	**-15.2**	**-15.0%**

ცხრილი 5: *სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2014-2015 წლებში (მლნ ლარი).*

გარდა ამისა, 2.3 მლნ ლარამდე(0.6 მლნ ლარით) იზრდება ნებაყოფლობითი ტრანსფერები (გრანტების გარდა), თუმცა 5 თვის მდგომარეობით კი ფაქტობრივად ბიუჯეტში უკვე მიღებულია 6.3 მლნ ლარი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ რენტის მუხლით შემოსავლები იმავე დონეზე ნარჩუნდება, თუმცა 5 თვეში ბიუჯეტში ამ მიმართულებით შემოსულმა თანხებმა (11.0 მლნ ლარის ოდენობით) უკვე გადააჭარბა დამტკიცებული გეგმით განსაზღვრულ სიდიდეს (7.0 მლნ ლარს).

გრანტების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 40.9 მლნ ლარით და შეადგენს 255.9 მლნ ლარს. ზრდა ძირითადად შეეხო ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებს, რომელიც იმატებს 41.0 მლნ ლარით, 156.0 მლნ ლარამდე. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ევროკავშირთან მიღწეულ იქნა შეთანხმება დამატებითი გრანტების ჩამორიცხვასთან დაკავშირებით და ორი ახალი პროექტის ფარგლებში *(საქართველოში მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის მხარდაჭერა (EU) და DCFTA-ს განხორციელების და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (EU))* დაგეგმილია დამატებით რესურსის მიღება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელზე გავლენა მოახდინა ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ. საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტების მოცულობა მცირდება 80.0 ათასი ლარით. როგორც განმარტებით ბარათშია მითითებული, შემცირება განპირობებულია ზოგიერთ პროექტში წარმოქმნილი ეკონომიებით.

არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობები, წარმოდგენილი კანონპროექტით, იზრდება 150.0 მლნ ლარით (თითქმის 3-ჯერ) და შეადგენს 235.0 მლნ ლარს. ზრდა დაკავშირებულია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან მისაღებ შემოსულობებთან. აღნიშნული თანხების მიღება განხორციელდება მობილური ოპერატორების მეოთხე თაობის ლიცენზიების გაყიდვის საფუძველზე. *უნდა აღინიშნოს, რომ წლიური დამტკიცებული გეგმით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულობები განსაზღვრული იყო მხოლოდ 1.2 მლნ ლარის ოდენობით, ლიცენზიებთან დაკავშირებული აუქციონები კი დასრულდა მიმდინარე წლის იანვარში და ამ მიმართულებით, 2015 წლის 5 თვის მდგომარეობით ბიუჯეტში უკვე მიღებულია 75.4 მლნ ლარი (2015-2017 წლებში აღნიშნული ლიცენზიებიდან ჯამურად მისაღები თანხა მიაღწევს 330.0 მლნ ლარს).*

	2014 წელი შესრულება	2015 წელი გეგმა	2015 წელი პროექტი	2015 წ. პროექტი / 2015 წ. გეგმა		2015 წ. პროექტი / 2014 წ. შესრულება	
				სხვაობა	%	სხვაობა	%
არაფინანსური აქტივების კლება	80.6	85.0	235.0	**150.0**	**176.5%**	**154.4**	**191.5%**
ძირითადი აქტივები	60.7	81.8	81.8	**0.0**	**0.0%**	**21.1**	**34.8%**
მატერიალური მარაგები	0.1	0.0	0.0	**0.0**		**-0.1**	
არაწარმოებული აქტივები	19.8	3.2	153.2	**150.0**	**4687.5%**	**133.4**	**673.9%**
მ.შ. მიწა	*2.4*	*2.0*	*2.0*	***0.0***	***0.0%***	***-0.4***	***-17.7%***
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	*17.4*	*1.2*	*151.2*	***150.0***	***12500.0%***	***133.8***	***770.7%***

ცხრილი 6: *სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან 2014-2015 წლებში (მლნ ლარი).*

1.2 სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, როგორც უკვე აღინიშნა წარმოდგენილი ცვლილებით გადასახდელების ჯამური მაჩვენებელი არ განსხვავდება 2015 წლის ბიუჯეტის კანონით გადასახდელების ჯამური მაჩვენებლისაგან და განსაზღვრულია 9,575.0 მლნ ლარის დონეზე და 2014 წელთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 6.3%-ს შეადგენს, თუმცა ცვლილება ეხება გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებს. კერძოდ, შემცირებულია არაფინანსური აქტივების ზრდის (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) მოცულობა 79.5 მლნ ლარით, ხოლო სხვა ყველა კომპონენტი იზრდება აღნიშნული ცვლილების შესაბამისად. კერძოდ, ხარჯები იზრდება 11.2 მლნ ლარით, ფინანსური აქტივების ზრდა 28.3 მლნ ლარით ხოლო ვალდებულებების კლება 40 მლნ ლარით. რაც შეეხება

ხარჯების ცალკეულ მუხლებს, კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია შრომის ანაზღაურებისა და საქონლის და მომსახურების მუხლის მაჩვენებლები 26.6 და 23.9 მლნ ლარით, ამასთან, ხარჯების ზრდის დიდი წილი უკავშირდება გრანტების მუხლით ხარჯებს (84.8 მლნ ლარით ზრდა), რაც თავის მხრივ სავარაუდოა უკავშირდებოდეს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ზრდას, რომლის უმთავრესი მიზანი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაა და აღნიშნული ფონდიდან სახსრების გამოყოფა კლასიფიცირდება, როგორც გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს.

	2014 წელი	2015 წელი		2015 წ. პროექტი/2015 წ. გეგმა		2015 წ. პროექტი/2015 წ. ფაქტი	
	ფაქტი	გეგმა	პროექტი	სხვაობა	%	სხვაობა	%
გადასახდელები	**9,009.8**	**9,575.0**	**9,575.0**	**0.0**	**0.0%**	**565.2**	**6.3%**
ხარჯები	7,479.4	8,005.4	8,016.6	**11.2**	**0.1%**	**537.2**	**7.2%**
არაფინანსური აქტივების ზრდა	698.5	853.2	773.7	**-79.5**	**-9.3%**	**75.3**	**10.8%**
ფინანსური აქტივების ზრდა	272.2	297.1	325.4	**28.3**	**9.5%**	**53.2**	**19.5%**
ვალდებულებების კლება	559.7	419.2	459.2	**40.0**	**9.5%**	**-100.5**	**-18.0%**

ცხრილი 7: *სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები 2014-2015 წლებში (მლნ ლარი).*

წლის განმავლობაში მოსალოდნელ დინამიკასთან მიმართებაში, თუ დავუშვებთ, რომ ბიუჯეტის კანონით და ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლები შესრულდება, მაშინ 2015 წლის 6 თვის განმავლობაში გადასახდელების შესრულების საშუალო მაჩვენებელი დაახლოებით 129.8 მლნ ლარით (1.2-ჯერ) უნდა აღემატებოდეს 6 თვის ათვისების საშუალო მაჩვენებელს, რაც მცირედით ნაკლებია ანალოგიურ მაჩვენებელზე გასული წლის შესაბამისი პერიოდისათვის. კერძოდ, ანალოგიურმა სხვაობამ გასული წლისათვის 195.6 მლნ ლარი და 1.3 შეადგინა. ამავდროულად, აღნიშნული ტენდენცია კვლავ საყურადღებოა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებისათვის (მიუხედავად შემცირებისა) და ზემოაღნიშნული ფარდობა 2.2-ს უტოლდება.



დიაგრამა 1: *სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (2013-2015 წწ;).*

					კანონი		პროექტი	
		გეგმა	პროექტი	შესრულება 6 თვის მდგომარეობით	დარჩენილი თვის საშუალო მაჩვენებელი	ფარდობა	დარჩენილი თვის საშუალო მაჩვენებელი	ფარდობა
გადასახდელები	**2015 წელი**	**9,575.0**	**9,575.0**	**4,398.1**	**862.8**	**118%**	**862.8**	**118%**
	2014 წელი	9,080.0	9,080.0	3,953.3	**854.4**	**130%**	**854.4**	**130%**
	2013 წელი	8,748.5	8,748.5	3,395.6	**892.2**	**158%**	**892.2**	**158%**
ხარჯები	**2015 წელი**	**8,005.4**	**8,016.6**	**3,734.9**	**711.7**	**114%**	**714.3**	**115%**
	2014 წელი	7,539.6	7,539.6	3,373.2	**694.4**	**124%**	**694.4**	**124%**
	2013 წელი	7,248.5	7,248.5	2,809.9	**739.8**	**158%**	**739.8**	**158%**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2015 წელი**	**853.2**	**773.7**	**240.2**	**102.2**	**255%**	**88.9**	**222%**
	2014 წელი	734.1	734.1	230.8	**83.9**	**218%**	**83.9**	**218%**
	2013 წელი	720.9	720.9	169.3	**91.9**	**326%**	**91.9**	**326%**
ფინანსური აქტივების ზრდა	**2015 წელი**	**297.1**	**325.4**	**186.8**	**18.4**	**59%**	**22.4**	**74%**
	2014 წელი	208.2	208.2	68.0	**23.4**	**206%**	**23.4**	**206%**
	2013 წელი	229.7	229.7	128.9	**16.8**	**78%**	**16.8**	**78%**

ცხრილი 8: *გადასახდელების მოსალოდნელი დინამიკა 6 თვის ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.*

რაც შეეხება გადასახდელების ალოკაციას მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, წარმოდგენილი ცვლილებით შემცირება შეეხება მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებს, კერძოდ, 159 მლნ ლარით კლების მიმართულებით, ამავე მაჩვენებლითაა გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების ზრდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოდგენილი ცვლილებით დამატებულია ახალი მხარჯავი დაწესებულებები: საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი (კოდით 59 00), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (კოდით 60 00) და სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი (კოდით 61 00), ასიგნებების ჯამური ოდენობით 46.3 მლნ ლარი. ქვემოთ წარმოდგენილია ის მხარჯავი დაწესებულებები, რომელთათვისაც ცვლილებით გათვალისწინებულია ასიგნებების ყველაზე მეტად ზრდა/შემცირება (ნომინალურ გამოსახულებაში თანხის მოცულობის მიხედვით).

		2015 წელი გეგმა	2015 წელი პროექტი	ცვლილება	ცვლილება %
29 00	**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**	**640,000**	**667,332**	**27,332**	**4.3%**
40 00	**საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური**	**53,000**	**54,050**	**1,050**	**2.0%**

ცხრილი 9: *მხარჯავი დაწესებულებები რომლებისათვისაც გათვალისწინებულია ასიგნებების ზრდა* 2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით. (ათასი ლარი).

		2015 წელი გეგმა	2015 წელი პროექტი	ცვლილება	ცვლილება %	მათ შორის, ხარჯები(%-ად ჯამური ცვლილების ოდენობასთან)	მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა(%-ად ჯამური ცვლილების ოდენობასთან)
01 00	**საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები**	**60,532**	**54,532**	**-6,000**	**-9.9%**	**-25%**	**-75%**

04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	32,500	20,962	-11,538	-35.5%	-108%	8%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	100,000	91,000	-9,000	-9.0%	-63%	-37%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	120,000	85,368	-34,632	-28.9%	-91%	-9%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,000,000	945,501	-54,499	-5.4%	-55%	-120%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	100,000	89,500	-10,500	-10.5%	-90%	-10%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	638,700	591,650	-47,050	-7.4%	-99.9%	-0.1%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	853,900	840,800	-13,100	-1.5%	-86%	-14%
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	125,000	114,300	-10,700	-8.6%	-129.9%	0%
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	292,900	267,450	-25,450	-8.7%	-27%	-11%

ცხრილი 10: *მხარჯავი დაწესებულებები რომლებისათვისაც გათვალისწინებულია ასიგნებების შემცირება* 2015 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით (ათასი ლარი).

საბიუჯეტო ოფისი

საყურადღებოა, რომ მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების შემცირების უდიდესი წილი ეხება ხარჯების მუხლით გადასახდელებს, კერძოდ, შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ასიგნებების ცვლილებასთან არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ფარდობის საშუალო მაჩვენებელი 39%-ს შეადგენს, ხოლო იგივე მაჩვენებელი ხარჯებისათვის 63%-ს უტოლდება. დანართების სახით წარმოდგენილია თითოეული მხარჯავი დაწესებულებებისათვის განკუთვნილი ასიგნებების ცვლილება ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ გეგმასთან მიმართებაში შესრულების ტენდენციის გათვალისწინებით და კომპონენტების დონეზე ცვლილების მითითებით (იხ. დანართები 2 და 3).

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებულია გადასახდელების ზრდა 159.1 მლნ ლარით, მათ შორის ცვლილება ითვალისწინებს ძირითადად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) 85 მლნ-ით, საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის პროგრამის 53 მლნ ლარით და მთავრობის სარეზერვო ფონდის ზრდას 20 მლნ ლარის ოდენობით. საგარეო ვალდებულებებთან დაკავშირებით დეტალურად წარმოდგენილია ანგარიშის შესაბამის ნაწილში (იხ. სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა).

	2015 წელი		2015 წ. პროექტი/2015 წ. გეგმა	
	გეგმა	პროექტი	სხვაობა	%-ლი ცვლილება
საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	**2,026.5**	**2,185.6**	**159.1**	**7.9%**
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	560.0	613.0	**53.0**	**9.5%**

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	194.0	194.0	0.0	0.0%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	854.8	854.8	0.0	0.0%
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	5.0	5.0	0.0	0.0%
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	50	70.00	20.0	40.0%
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	300	385.00	85.0	28.3%

ცხრილი 11: *საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები.*

2. სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების დინამიკა

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით წარმოდგენილი არაა ცვლილებები პირველ წარდგენასთან მიმართებაში. შესაბამისად, ისევე როგორც პირველი წარდგენით გათვალისწინებულია ცვლილებები 2015 წლის ბიუჯეტის კანონონთან მიმართებაში როგორც ვალდებულებების ზრდის, ისე ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის სახსრებისათვის. კერძოდ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 1,624 მლნ ლარის დონეზე, რაც ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელზე 14.1 მლნ ლარით (0.9%) მეტია. აღნიშნული ერთი მხრივ უკავშირდება საშინაო ვალდებულებების (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) წმინდა ზრდის შემცირებას 100 მლნ ლარით და საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდას 114.1 მლნ ლარით.

ვალდებულებების ზრდა

	2014 წელი	2015 წელი		2015 წ. პროექტი / 2015 წ. გეგმა		2015 წ. პროექტი / 2014 წ. ფაქტი	
	ფაქტი	გეგმა	პროექტი	სხვაობა	%	სხვაობა	%
საგარეო	996,865	1,010,000	1,124,080	114,080	11.3%	127,215	12.8%
საშინაო	572,816	600,000	500,000	-100,000	-16.7%	-72,816	-12.7%
ჯამი:	**1,569,681**	**1,610,000**	**1,624,080**	14,080	0.9%	54,399	3.5%

ცხრილი 12: *სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდის არსებული მდგომარეობა და ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტი.*

2015 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების შემცირება (100 მლნ ლარი) გათვალისწინებულია ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმის ფარგლებში ფასიანი ქაღალდების ემისიის შეზღუდვით. რაც შეეხება საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს, საგარეო ვალდებულებების ზრდის ცვლილება კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებაში ძირითადად დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების საპროგნოზო მოცულობის 185.0 მლნ ლარით ზრდასთან (აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკის (ADB, WB) მიერ არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში დამატებითი ჩამორიცხვებისა და გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენით). ხოლო საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები მცირდება 70.9 მლნ ლარით 619.1 მლნ ლარამდე. როგორც განმარტებით ბარათშია მითითებული, კლება ძირითადად დაკავშირებულია ამ პროექტების ფარგლებში თანხების ათვისების ტენდენციასთან, თუმცა იქვე

მითითებულია, რომ თანხების ჩამორიცხვა გაგრძელდება შესაბამისი სამუშაოების შესრულების პარალელურად და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ზრდა.

რაც შეეხება 2015 წელს საგარეო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვას, პროექტით გათვალისწინებულია საგარეო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის სახსრების ზრდა 52.4 მლნ ლარით, რაც ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით უკავშირდება ერთი მხრივ, ვალდებულებების დაფარვის გრაფიკის ცვლილებას, მეორე მხრივ, ვალუტის კურსის ცვლილებას. 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმასთან შედარებით ვალის დაფარვა/მომსახურების სახსრების ზრდა ეხება მრავალმხრივი კრედიტორების მიხედვით განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (20.8 მლნ ლარით), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (11.8 მლნ ლარით), აზიის განვითარების ბანკის (6.3 მლნ ლარით) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (4.3 მლნ ლარით) ვალდებულებებს, ხოლო ორმხრივი კრედიტორების მიხედვით გერმანიასთან (10.4 მლნ ლარის), რუსეთთან (5.8 მლნ ლარით), საფრანგეთთან (1.5 მლნ ლარით), აშშ-თან (1.3 მლნ ლარით) და თურქეთთან (1.2 მლნ ლარით) არსებულ ვალდებულებებს. საყურადღებოა, რომ პროექტით გათვალისწინებულია ვალდებულებების მომსახურება/დაფარვის სახსრების შემცირება ყაზახეთთან (16.1 მლნ ლარით), თურქმენეთთან (7.7 მლნ ლარით) და აზიის განვითარების ბანკთან (1.7 მლნ ლარით) არსებული ვალდებულებებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, თურქმენეთისა და ყაზახეთის სესხები პარიზის კლუბის შეთანხმების ნაწილს წარმოადგენენ, თუმცა კრედიტორი ქვეყნების მთავრობებთან სესხის რესტრუქტურიზაციის პირობების შეთანხმება და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება არ განხორციელებულა. შესაბამისად, აღნიშნული სესხების მომსახურება არ ხორციელდება, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად ხდება სესხზე მიმდინარე გადასახდელების მხედველობაში მიღება იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ მომენტში შესაძლოა იქნეს მიღწეული შეთანხმება.

პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	**2015 წ. გეგმა (A)**	**2015 წ. პროექტი (B)**	**2015 წ. პროექტი / 2015 წ. გეგმა**		**2015 წ. პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების დაფარვა ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის ამორიცხვით (C)**	**სხვაობა (C) - (B)**
			სხვაობა	%		
სულ	**560,624**	**613,000**	**52,376**	**9.3%**	**512,882**	**-100,118**
ავსტრია	285	321	36	12.6%	300	-21
კუვეიტი	5,028	5,811	783	15.6%	4,547	-862
იაპონია	12,349	8,219	-4,130	-33.4%	7,585	-635
გერმანია	55,687	66,086	10,399	18.7%	61,856	-4,229
აშშ	4,041	5,371	1,330	32.9%	4,203	-1,168
სომხეთი	2,624	3,420	796	30.4%	2,677	-744
აზერბაიჯანი	2,083	2,688	605	29.1%	2,104	-584
ირანი	1,650	2,137	487	29.5%	1,672	-464
ყაზახეთი	24,752	8,669	-16,083	-65.0%	6,784	-1,885
ნიდერლანდები	490	576	86	17.5%	539	-37
რუსეთი	19,524	25,362	5,838	29.9%	19,848	-5,513
თურქეთი	4,061	5,238	1,177	29.0%	4,099	-1,139
თურქმენეთი	15,795	8,132	-7,663	-48.5%	6,364	-1,768
უკრაინა	57	76	19	33.6%	60	-17
უზბეკეთი	62	83	21	34.5%	65	-18
საფრანგეთი	18,599	20,074	1,475	7.9%	18,789	-1,285

ჩინეთი	972	1,106	134	13.8%	885	-221
IDA	114,898	135,702	20,804	18.1%	112,531	-23,170
IBRD	32,169	36,515	4,346	13.5%	28,577	-7,938
IFAD	1,732	1,989	257	14.8%	1,649	-340
EBRD	25,417	25,567	150	0.6%	23,931	-1,636
EIB	18,523	16,816	-1,707	-9.2%	15,739	-1,076
ADB	29,068	35,412	6,344	21.8%	27,714	-7,698
IMF	105,883	117,700	11,817	11.2%	97,603	-20,097
ევრობონდები	61,875	79,930	18,055	29.2%	62,554	-17,376

ცხრილი 13: *სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.*

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2015 წლის წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებული ვალდებულებების მომსახურება/დაფარვისათვის (გრაფიკის ცვლილების გათვალისწინებით, თუმცა ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ვალდებულებებისათვის საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გათვალისწინების გარეშე) საჭირო სახსრები საშუალოდ 512.9 მლნ ლარს უტოლდება, რაც 2015 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ გეგმურ მაჩვენებელზე 47.7 მლნ ლარით ნაკლებია (იხ. ცხრილი 13). აღნიშნული გაანგარიშებისათვის წარმოდგენილი საკრედიტო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის შეფასება განხორციელებულ იქნა შესაბამისი ვალუტების მიმართ 2014 წლის საშუალო კურსისა და 2015 წლის 6 თვის საშუალო კურსის გათვალისწინებით. იმის გამო, რომ წარმოდგენილ კანონპროექტში ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებულია 613 მლნ ლარი, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა საშუალოდ 100 მლნ ლარს შეადგენს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის მაჩვენებელი განსხვავებულია 2015 წლის არსებული კანონით წარმოდგენილი გეგმისაგან არა მარტო გაცვლითი კურსის ცვლილების, არამედ მომსახურებისა და დაფარვის გრაფიკების და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენითაც. ჯამური ზრდა, როგორც უკვე აღინიშნა 52.4 მლნ ლარს უტოლდება, რომელიც მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების შემცირების საფუძველზე გადანაწილებულ იქნა საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებში. ამ უკანასკნელის მხედველობაში მიღებით, 2015 წლის პროექტით საგარეო ვალდებულებების მომსახურება/დაფარვის სახსრების ზრდის დაახლოებით 91.2% უკავშირდება გაცვლითი კურსის ცვლილებას.

ეროვნული
საბიუჯეტო ოფისი

რაც შეეხება სახელმწიფო ვალის მშპ-თან ფარდობას, 2015 წლის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით დაგეგმილი იყო სახელმწიფო ვალის ზრდა მშპ-ის 37.1%-მდე, ხოლო გადამუშავებული ვარიანტის მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 7.8%-ული პუნქტით იზრდება და 44.9%-ს უტოლდება.ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2014 წლის დეკემბრის და 2015 წლის მაისის მდგომარეობით.



დიაგრამა 2: სახელმწიფო ვალი(%-ად მშპ-სთან)

დასახელება	2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით		2015 წლის მაისის მდგომარეობით		2015 წლის გეგმა	2015 წლის პროექტი (მეორე წარდგენა)
	აშშ დოლარში	ლარში	აშშ დოლარში	ლარში	ლარში	ლარში
სულ	**4199.8**	**7826.7**	**4026.8**	**9306.9**	**8690.9**	**10762.0**
WB-IDA	1285.3	2395.3	1227.2	2836.4	3711.7	4526.7
IBRD	485.8	905.3	489.5	1131.3	-	-
IFAD	29.9	55.7	28.5	65.8	61.0	74.1
IMF (PRGF)	42.6	79.4	29.2	67.5	39.1	48.7
IMF (SBA)	169.3	315.4	119.9	277.2	223.2	278.5
EBRD	96.1	179.0	84.6	195.6	177.2	221.7
ADB	604.7	272.0	607.8	343.6	1346.2	1805.9
EIB	241.9	450.8	217.3	502.3	609.9	693.9
EUR	-	-	-	-	50.0	57.0
ავსტრია	13.3	24.8	12.0	27.7	26.6	33.1
კუვეიტი	18.5	34.6	17.5	40.4	31.7	36.4
იაპონია	139.4	259.8	146.0	337.4	427.4	492.3
გერმანია	298.7	556.6	271.5	627.4	607.2	738.6
აშშ	28.9	53.9	28.9	66.9	49.2	62.9
სომხეთი	13.5	25.2	13.2	30.6	22.4	28.6
აზერბაიჯანი	11.5	21.5	11.2	25.9	19.3	24.6
ირანი	9.0	16.7	8.7	20.2	15.0	19.1
ყაზახეთი	27.8	51.8	27.8	64.2	50.0	63.9
ნიდერლანდები	1.6	3.0	1.4	3.3	2.9	3.6
რუსეთი	93.9	175.1	91.9	212.4	156.3	199.7
თურქეთი	22.0	41.0	21.4	49.6	36.8	47.1
თურქმენეთი	0.2	0.4	0.2	0.5	0.4	0.5
უკრაინა	0.2	0.5	0.2	0.6	0.4	0.5
უზბეკეთი	0.3	0.5	0.3	0.6	0.4	0.6
საფრანგეთი	61.4	114.5	56.1	129.8	120.8	145.0
ჩინეთი	3.9	7.2	3.4	7.8	6.0	9.1
ევროობლიგაცია	500.0	931.8	500	1151.6	900.0	1150.0

ცხრილი 14: სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი (მლნ).

3. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები და გავლენა ეკონომიკურ გარემოზე

ფისკალური პოლიტიკის ანალიზისას პირველი საკითხია ფისკალური პოლიტიკის მიმართულების- ექსპანსიური თუ შემზღუდველი - შეფასება. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის მეშვეობით დეფიციტის ზრდას, რაც თავის მხრივ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ეკონომიკის სტიმულირებისათვის. საპირისპირო მიმართულების ფისკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. მეორე საკითხია ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ შესაძლებელია შეფასდეს გამოშვების (მშპ-ს) პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების გადახრის მიმართულებითა და ზომით. მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას (ანუ როდესაც გამოშვების პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების (მშპ-ს) გადახრა უარყოფითია) და პირიქით, შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ბუმისას ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ასეთ დროს ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც მისაღებად მიიჩნევა არა ანტიციკლური, არამედ პროციკლური ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად მაღალი საგარეო დისბალანსის პირობებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული მიმართულების ანალიზს ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში.

საერთაშორისო პრაქტიკით, მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის შესაფასებლად გამოიყენება განსხვავებული ფისკალური ინდიკატორები (ფისკალურ ინდიკატორებთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ფისკალური გარემოს მიმოხილვა, ივნისი, 2015). ხაზგასასასმელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი ეყრდნობა ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტზე თანდართული ნაერთი ბიუჯეტის და არა სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემებს.ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული მაჩვენებლები ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება პარლამენტის მიერ (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 38, პუნქტი 8)

პირველ რიგში, ფისკალური ინდიკატორები მოიცავს ბიუჯეტის ბალანსის მაჩვენებელს, რომელიც საქართველოსათვის არსებული კანონმდებლობით გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) მიხედვით (ბიუჯეტის ბალანსთან დაკავშირებით იხ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მეთოდოლოგიური განმარტება ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების შესახებ). შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასებისას პირველ რიგში, მიზანშეწონილია განხილულ იქნას სწორედ აღნიშნული მაჩვენებლის დინამიკა, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე. **როგორც დიაგრამა #3 ჩანს, 2015 წლის ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვერსიის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო დეფიციტი -0.9%-მდე გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს. ხოლო ცვლილების პროექტის პირველი წარდგენისას წარმოდგენილი მაჩვენებლებით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი -1.3%-მდე იყო განსაზღვრული (იხ. დიაგრამა #4).** აღნიშნული განსხვავება დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ნაერთი ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს პირველად

ვარიანტთან შედარებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გადასახდელების შემცირებას 125 მლნ ლარით და ფინანსური აქტივების ზრდას ამავე ოდენობით. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული რეკლასიფიკაცია დაკავშირებულია კაპიტალური ხარჯების ნაწილის განხორციელების დაგეგმვასთან არა უშუალოდ მხარჯავი დაწესებულებების/თვითმმართველი, არამედ ამ დაწესებულებების/თვითმმართველი ერთეულის მმართველობაში არსებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ.



დიაგრამა 3: *ბიუჯეტის დეფიციტი (უარყოფითი მთლიანი სალდო) (% მშპ-თან). გადამუშავებული ვარიანტი.*



დიაგრამა 4: *ბიუჯეტის დეფიციტი (უარყოფითი მთლიანი სალდო) (% მშპ-თან). პირველი წარდგენა.*

აქვე საყურადღებოა განხილულ იქნას მთლიანი ფისკალური ბალანსის მაჩვენებელი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკით ეკონომიკური ანალიზისათვის უფრო აქტიურად გამოიყენება. მთლიანი ფისკალური ბალანსი წარმოადგენს ბიუჯეტის მთლიანი სალდოს, კორექტირებულს ოპერაციების რეკლასიფიკაციით. კერძოდ, წმინდა გასესხების სახით გაცემული სუბსიდიები აღირიცხება ხარჯებად, ხოლო პრივატიზებიდან (არაფინანსური აქტივების კლება) მიღებული შემოსულობები გადაიტანება ფინანსირების მუხლში. **წარმოდგენილი ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვერსიის მიხედვით გაანგარიშებული აღნიშნული მაჩვენებლის საპროგნოზო მოცულობა არსებითად არ განსხვავდება 2015 წლის ბიუჯეტის კანონს თანდართულ ნაერთი ბიუჯეტის საფუძველზე გაანგარიშებული ანალოგიური მაჩვენებლისაგან. კერძოდ, ბიუჯეტის კანონის მიხედვით მთლიანი ფისკალური ბალანსი -3.1%-ს შეადგენდა, ხოლო კორექტირებული ნაერთი ბიუჯეტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია მისი გაუმჯობესება -3.0%-მდე** (იხ დიაგრამა #5). ამასთან მთლიანი ფისკალური

ბალანსის საპროგნოზო მოცულობა ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვერსიის მიხედვით პირველად ვერსიასთან შედარებით არ იცვლება (იხ. დიაგრამა #5 და #6).



დიაგრამა 5: *მთლიანი ფისკალური ბალანსი (% მშპ-თან).*



დიაგრამა 6: *მთლიანი ფისკალური ბალანსი (% მშპ-თან).*

აქვე აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის ბალანსის ზემოთ წარმოდგენილი მაჩვენებლები მოიცავს როგორც ეკონომიკური გარემოს (გამოშვების გაპის) ზეგავლენას ფისკალურ პოზიციაზე (ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების გავლენით), ისე მთავრობის დისკრეციულ ფისკალურ ღონისძიებებს. იმისათვის, რომ მიღებულ იქნას სრულყოფილი სურათი აუცილებელია ცალცალკე შეფასდეს როგორც დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება, ასევე ეკონომიკური ციკლის გავლენა საბიუჯეტო აგრეგატებზე. დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შესაფასებლად მიზანშეწონილია ციკლურად კორექტირებული ბალანსის და სტრუქტურული ბალანსის მაჩვენებლების გამოყენება, რომლებიც ბიუჯეტის ბალანსის აგრეგატებს აკორექტირებს ეკონომიკური ციკლის ეტაპის მიხედვით და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლისაგან ამორიცხავს ეკონომიკური ციკლის გავლენას. აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ციკლის ეტაპი ფასდება გამოშვების გაპის (რეალური მშპ-ს გადახრა პოტენციური დონიდან) მოცულობით, რომელიც პირდაპირ დაკვირვებას არ ექვემდებარება და სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებით გაანგარიშებული მისი მოცულობა ასახავს ეკონომიკური ციკლის ეტაპის ზოგად მიმართულებას (გამოშვების გაპის შესახებ *იხ. საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია „გამოშვების გაპი: არსი და შეფასება“*).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია GFSM 2001 კლასიფიკაციის საფუძველზე გაანგარიშებული ბიუჯეტის დეფიციტის და ციკლურად კორექტირებული ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა, როგორც 2015 წლის კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვერსიის ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით ასევე 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს თანდართული ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით. **როგორც დიაგრამებიდან ჩანს, ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვერსიის ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით ციკლურად კორექტირებული ბიუჯეტის დეფიციტი კანონთან შედარებით გაუმჯობესებულია -1.9%-დან -0.3%-მდე, რაც გამოწვეულია საბიუჯეტო აგრეგატების ცვლილებით**. ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტით სხვაობა ბიუჯეტის დეფიციტსა (-0.9%) და ციკლურად კორექტირებულ დეფიციტს (-0.3%) შორის -0.6%-ს შეადგენს, რაც ასახავს უარყოფითი ეკონომიკური ციკლის გავლენას ბიუჯეტის ბალანსის მაჩვენებელზე. კერძოდ, ეკონომიკის პოტენციური მშპ-ს დონეზე ფუნქციონირების შემთხვევაში ბიუჯეტის ბალანსი -0.3%-ით იქნებოდა განსაზღვრული, ხოლო ბიუჯეტის კანონს თანდართული მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც 5%-იან ეკონომიკურ ზრდას ითვალისწინებდა, სხვაობა ზემოთაღნიშნულ მაჩვენებლებს შორის -0.1%-ს შეადგენდა.



***დიაგრამა 7**: 2015 წლის კორექტირებული ნაერთი ბიუჯეტი (გადამუშავებული ვერსია)*



***დიაგრამა 8:** 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს თანდართული ნაერთი ბიუჯეტი*

გასათვალისწინებელია, რომ ბიუჯეტის დეფიციტის ციკლურად კორექტირებისას ამოირიცხება მხოლოდ გამოშვების გაპის ცვლილებასთან დაკავშირებული დროებითი ფაქტორების ანუ ეკონომიკური გარემოს გავლენა. ხოლო სტრუქტურული ბალანსი ითვალისწინებს როგორც ეკონომიკური ციკლის გავლენას ფისკალურ ცვლადებზე, ასევე ამორიცხავს შემოსავლებისა და გადასახადების ერთჯერად, დროებით კომპონენტებს, რათა წარმოდგენილი მაჩვენებელი ასახავდეს დისკრეციული გადაწყვეტილებების საფუძველზე მიღებულ ფისკალურ შედეგებს, დროებითი ფაქტორების გავლენის გამორიცხვით. აქვე აღსანიშნავია, რომ დროებითი ფაქტორების ამორიცხვა სპეციფიკურია ქვეყნის ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურის მიხედვით, შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტების შეფასება ნაწილობრივ ეყრდნობა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ანალიტიკოსთა სუბიექტურ განსჯას. კერძოდ, საქართველოსათვის სტრუქტურული ბალანსის გაანგარიშებისას ერთჯერად შემოსავლებად აღრიცხულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ის მაჩვენებლები, რომელიც მიიჩნევა ერთჯერად ჩარიცხვებად საგადასახადო შემოსავლების

პროგნოზირებისას, ხოლო ერთჯერად გადასახდელებად კლასიფიცირებულ იქნა მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გაწეული გადასახდელები. **როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, კანონის ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვერსიის მიხედვით სტრუქტურული ბალანსი ბიუჯეტის კანონს თანდართულ ნაერთ ბიუჯეტზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით უმჯობესდება -1.2%-დან 0.3%-მდე.**



დიაგრამა 9: 2015 წლის კორექტირებული ნაერთი ბიუჯეტი (გადამუშავებული ვერსია)



დიაგრამა 10: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს თანდართული ნაერთი ბიუჯეტი

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მთლიანი ფისკალური ბალანსის საფუძველზე გაანგარიშებული ციკლურად კორექტირებული და სტრუქტურული ბალანსები. როგორც დიაგრამებიდან ვლინდება, ფისკალური ბალანსის საფუძველზე გაანგარიშებული ფისკალური ინდიკატორები ემთხვევა GFSM 2001 სახელმძღვანელოს საფუძველზე განსაზღვრული ანალოგიური ბალანსების ტენდენციებს, თუმცა განსხვავებული ნიშნულებით. **წარმოდგენილი კორექტირებული ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით მთლიანი ფისკალური ბალანსზე დაყრდნობით გაანგარიშებული ციკლურად კორექტირებული ბალანსი 2015 წლისათვის უმჯობესდება -2.9%-დან -2.5%-მდე, ხოლო სტრუქტურული ბალანსი -2.4%-დან -2.1%-მდე.**



დიაგრამა 11: *2015 წლის კორექტირებული ნაერთი ბიუჯეტი (გადამუშავებული ვერსია)*



დიაგრამა 12: *2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს თანდართული ნაერთი ბიუჯეტი*

ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია მოკლევადიანი მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა, რაც, მათ შორის, შესაძლოა გულისხმობდეს, საჭიროებისამებრ, ეკონომიკური ციკლის გავლენის შერბილებას (ანტიციკლური პოლიტიკის გატარებას). შესაბამისად, მიზანშეწონილია ძირითადი ფისკალური ინდიკატორების ტენდენციების შედარება გამოშვების გაპის დინამიკასთან. კერძოდ, გამოშვების უარყოფითი გაპის ზრდასთან (გაუარესება) ერთად ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა (გაუარესება) მიანიშნებს ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის მიმართულებაზე ეკონომიკური ციკლის უარყოფითი გავლენის შესარბილებლად, ხოლო აღნიშნული მაჩვენებლების საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა - პროციკლურ ფისკალურ პოლიტიკაზე. 2015 წლისათვის 2%-იანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზზე დაყრდნობით საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მოსალოდნელია უარყოფითი გამოშვების გაპის ზრდა (გაღრმავება), თუმცა ბიუჯეტის დეფიციტი (GFSM 2001), მთლიანი ფისკალური ბალანსი და ასევე ციკლურად კორექტირებული და სტრუქტურული ბალანსები გაუმჯობესების ტენდენციებს ავლენს, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს ფისკალური პოლიტიკის პროციკლურობაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა, თავად გამოყენებული ფისკალური ინსტრუმენტები. მოკლევადიანი პერიოდისთვის, ფისკალური პოლიტიკის ცვლილება გამოშვების (მშპ-ს) მისი ბუნებრივი დონიდან გადახრას იწვევს საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებით. სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ბიზნესის/წარმოების განვითარებას და შედეგად გაიზარდოს ერთობლივი მოთხოვნა, ხოლო სახელმწიფო დანახარჯების კლებამ მოსალოდნელია გამოიწვიოს საპირისპირო შედეგი. თუმცა ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკაზე გავლენის განსაზღვრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოყენებულ ფისკალურ ინსტრუმენტს, ვინაიდან სახელმწიფო მოხმარებისა (შრომის ანაზღაურება და საქონელი და მომსახურება) და სახელმწიფო კაპიტალური ხარჯების (არაფინანსური აქტივების ზრდა) გავლენა მშპ-ზე განსხვავდება როგორც მასშტაბის ისე ხანგრძლივობის მიხედვით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული ფისკალური ინსტრუმენტების დინამიკა(იხ. ცხრილი 15).

	2014 წელი ფაქტი	2015 წელი გეგმა	2015 წელი პროექტი (პირველადი)	2015 წელი პროექტი (გადამუშავებული)	2015 წ. პროექტი/2015 წ. გეგმა სხვაობა	2015 (პროექტი) /2014 წწ ზრდის ტემპი
სახელმწიფო მოხმარება	**2665.5**	**2809.0**	**2700.0**	**2700.0**	**-109**	**1.3%**
შრომის ანაზღაურება	1,521.9	1,610.0	1,580.0	1,580.0	**-30**	**3.8%**
საქონელი და მომსახურება	1,143.6	1,199.0	1,120.0	1,120.0	**-79**	**-2.1%**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,443.9**	**1866.0**	**1,730.0**	**1,605.0**	**-261**	**11.1%**
ფინანსური აქტივების ზრდა	**274.3**	**277.0**	**335.0**	**460.0**	**185.7**	**67.7%**

ცხრილი 15: *სახელმწიფო მოხმარება და ინვესტიციები (მლნ ლარი; 2014-2015 წწ). ნაერთი ბიუჯეტი.*

მნიშვნელოვანია, რომ ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა (%-ად მშპ-სთან) 2011 წლიდან კლების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2015 წელს (ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტი) მოსალოდნელია მისი 5.2%-მდე ზრდა. სახელმწიფო მოხმარება (%-ად მშპ-სთან) 2011 წლიდან, ნაკლებ გამოკვეთილი, თუმცა ასევე კლების ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება აგრეგატებს უშუალოდ 2015 წელს, წარმოდგენილი ცვლილებით, ბიუჯეტის კანონს თანდართულ სცენართან შედარებით, გათვალისწინებულია როგორც სახელმწიფო მოხმარების(109 მლნ ლარით), ისე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების(261 მლნ ლარით) შემცირება, თუმცა მოხმარებასთან შედარებით უფრო დიდი ოდენობით. ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 185.7 მლნ ლარით იზრდება. აქვე საყურადღებოა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, ნაერთი ბიუჯეტის გადამუშავებული ვარიანტი ითვალისწინებს პირველად ვარიანტთან შედარებით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის გადასახდელების შემცირებას 125 მლნ ლარით და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდას ამავე ოდენობით. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული რეკლასიფიკაცია დაკავშირებულია კაპიტალური ხარჯების ნაწილის განხორციელების დაგეგმვასთან არა უშუალოდ მხარჯავი დაწესებულებების/თვითმმართველი, არამედ ამ დაწესებულებების/თვითმმართველი ერთეულის მმართველობაში არსებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ. ამასთან, აღნიშნული ცვლილების გავლენით მეორე წარდგენით, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის ფარდობა მშპ-სთან, რომლის ლიმიტი ეკონომიკური თავისუფლების აქტით 30%-ის დონეზეა განსაზღვრული, 30.0%-ს შეადგენს, ანალოგიური მაჩვენებელი პირველი წარდგენისას 30.4%-ს შეადგენდა.

	2014 ფაქტი	2015 კანონი	2015 პროექტი (პირველი წარდგენა)	2015 პროექტი (მეორე წარდგენა)	2016 პროგნოზი
ხარჯები (%-ად მშპ-სთან)	25.2%	24.0%	24.8%	24.8%	24.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა (%-ად მშპ-სთან)	4.9%	5.9%	5.6%	5.2%	5.2%
ხარჯების და არაფინანსური აქტივების ჯამი (%-ად მშპ-სთან)	30.2%	29.9%	30.4%	30.0%	30.0%

ცხრილი 16: *ხარჯების და არაფინანსური აქტივების წილი მშპ-სთან (%, 2014-2016 წწ).*



დიაგრამა 13: *სახელმწიფო მოხმარებისა და კაპიტალური ხარჯების დინამიკა (%-ად მშპ-სთან); (2011-2015 წწ).*

მოკლევადიანი პერიოდისთვის, ფისკალური ცვლილების გავლენის საზომად გამოიყენება ფისკალური მულტიპლიკატორი, რომელიც ასახავს ფისკალური ცვლილების საფუძველზე გამოშვების მოცულობის ცვლილებას. კონკრეტულად, ფისკალური მულტიპლიკატორის დახმარებით შესაძლოა დადგინდეს რა გავლენა აქვს 1 ლარით სახელმწიფო დანახარჯების ან კაპიტალური ხარჯების ცვლილებას მშპ-ზე, მოკლევადიან პერიოდში. საყურადღებოა, რომ საქართველოსთვის გამოშვებაზე გავლენა სახელმწიფო მოხმარების ცვლილების მიმართ უარყოფითია, ხოლო სახელმწიფო კაპიტალური ხარჯების მიმართ კი - დადებითი.



დიაგრამა 14: *მშპ-ს ცვლილება სახელმწიფო ინვესტიციების მიმართ*



დიაგრამა 15: *მშპ-ს ცვლილება სახელმწიფო მოხმარების მიმართ*

	2015	2016	2017	2018	2019
სახელმწიფო მოხმარების ცვლილების გავლენა მშპ-ზე	0.2	-0.3	-0.7	-0.9	-0.8
სახელმწიფო კაპიტალური ხარჯების(არაფინანსური აქტივების ზრდის) ცვლილების გავლენა მშპ-ზე	0.6	0.9	1.0	0.8	0.6

ცხრილი 17: *სახელმწიფო მოხმარებისა და კაპიტალური ხარჯების 1 ლარით ცვლილების გავლენა მშპ-ზე (რეალური,2001=100); (2015-2019 წწ)*

ფისკალური მულტიპლიკატორის სიდიდის გათვალისწინებით, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მოკლევადიანი პერიოდისთვის, სახელმწიფო მოხმარების ცვლილებამ, ბიუჯეტის კანონის პროექტის ცვლილების როგორც პირველადი, ისე გადამუშავებული ვარიანტის გათვალისწინებით 2015 წლის ბიუჯეტის კანონს თანდართულ სცენართან შედარებით მოსალოდნელია რეალური მშპ 2015

წლისთვის 6.5 მლნ. ლარით შეამციროს (რეალური ცვლილება), არაფინანსური აქტივების ზრდის ცვლილებამ კი - 70.7 მლნ. ლარით (თუ არ გავითვალისწინებთ ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების ზრდას). თუმცა, აღნიშნულ ფისკალურ ინსტრუმენტებთან მშპ-ს დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მოხმარების რეალურ შემცირებას საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია საშუალოდ ჰქონდეს დადებითი გავლენა რეალურ მშპ-ზე, ხოლო კაპიტალური ხარჯების შემცირებას კი - უარყოფითი (იხ. ცხრილი 17).

დანართები:

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები (მლნ ლარი).

	2014 შესრულება	2015 გეგმა	2015 პროექტი (პირველადი)	2015 პროექტი (გადამუშავებული)	2015 წ. გადამუშავებული / 2015 წ. პირველადი		2015 წ. გადამუშავებული / 2015 წ. გეგმა		2015 წ. გადამუშავებული / 2014 წ. შესრულება	
					სხვაობა	პროცენტული ცვლილება	სხვაობა	პროცენტული ცვლილება	სხვაობა	პროცენტული ცვლილება
შემოსავლები	**7,434.6**	**8,090.0**	**7,950.9**	**7,950.9**	**0.0**	**0.0%**	**-139.1**	**-1.7%**	**516.3**	**6.9%**
გადასახადები	*6,847.0*	*7,600.0*	*7,400.0*	*7,400.0*	*0.0*	*0.0%*	*-200.0*	*-2.6%*	*553.0*	*8.1%*
გრანტები	*278.7*	*215.0*	*255.9*	*255.9*	*0.0*	*0.0%*	*40.9*	*19.0%*	*-22.8*	*-8.2%*
სხვა შემოსავლები	*308.9*	*275.0*	*295.0*	*295.0*	*0.0*	*0.0%*	*20.0*	*7.3%*	*-13.9*	*-4.5%*
ხარჯები	**7,479.4**	**8,005.4**	**8,020.6**	**8,016.6**	**-4.0**	**-0.05%**	**11.1**	**0.1%**	**537.2**	**7.2%**
შრომის ანაზღაურება	*1,296.2*	*1,407.9*	*1,381.4*	*1,381.4*	*0.0*	*0.0%*	*-26.6*	*-1.9%*	*85.2*	*6.6%*
საქონელი და მომსახურება	*875.4*	*963.7*	*940.0*	*939.8*	*-0.1*	*-0.01%*	*-23.9*	*-2.5%*	*64.4*	*7.4%*
პროცენტი	*244.8*	*364.1*	*377.1*	*377.1*	*0.0*	*0.0%*	*13.0*	*3.6%*	*132.3*	*54.0%*
სუბსიდიები	*274.5*	*247.9*	*240.3*	*240.3*	*0.0*	*0.0%*	*-7.6*	*-3.1%*	*-34.2*	*-12.5%*
გრანტები	*1,067.7*	*1,172.7*	*1,257.3*	*1,257.5*	*0.2*	*0.01%*	*84.8*	*7.2%*	*189.7*	*17.8%*
სოციალური უზრუნველყოფა	*2,547.7*	*2,687.7*	*2,687.6*	*2,687.6*	*-0.01*	*-0.0003%*	*-0.05*	*0.0%*	*139.89*	*5.5%*
სხვა ხარჯები	*1,173.0*	*1,161.4*	*1,136.9*	*1,132.9*	*-4.1*	*-0.4%*	*-28.5*	*-2.5%*	*-40.1*	*-3.4%*
საოპერაციო სალდო	**-44.8**	**84.6**	**-69.7**	**-65.7**	**4.0**	**-5.7%**	**-150.2**	**-177.7%**	**-20.9**	**46.6%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**617.8**	**768.2**	**538.7**	**538.7**	**0.0**	**0.0%**	**-229.5**	**-29.9%**	**-79.1**	**-12.8%**
ზრდა	*698.5*	*853.2*	*773.7*	*773.7*	*0.0*	*0.0%*	*-79.5*	*-9.3%*	*75.3*	*10.8%*
კლება	*80.6*	*85.0*	*235.0*	*235.0*	*0.0*	*0.0%*	*150.0*	*176.5%*	*154.4*	*191.5%*
მთლიანი სალდო	**-662.6**	**-683.7**	**-608.4**	**-604.4**	**4.0**	**-0.7%**	**79.3**	**-11.6%**	**58.2**	**-8.8%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**347.3**	**507.1**	**556.4**	**560.4**	**4.0**	**0.7%**	**53.4**	**10.5%**	**213.1**	**61.4%**
ზრდა	**419.5**	**597.1**	**646.4**	**650.4**	**4.0**	**0.6%**	**53.4**	**8.9%**	**231.0**	**55.1%**
ვალუტა და დეპოზიტები	*147.3*	*300.0*	*325.0*	*325.0*	*0.0*	*0.0%*	*25.0*	*8.3%*	*177.7*	*120.7%*
სესხები	*105.8*	*135.4*	*158.2*	*158.2*	*0.0*	*0.0%*	*22.9*	*16.9%*	*52.4*	*49.5%*
აქციები და სხვა კაპიტალი	*166.4*	*161.7*	*163.2*	*167.2*	*4.0*	*2.5%*	*5.5*	*3.4%*	*0.9*	*0.5%*
კლება	**72.1**	**90.0**	**90.0**	**90.0**	**0.0**	**0.0%**	**0.0**	**0.0%**	**17.9**	**24.8%**

სესხები	*72.1*	*90.0*	*90.0*	*90.0*	*0.0*	*0.0%*	*0.0*	*0.0%*	*17.9*	*24.8%*
*სხვა დებიტორული დავალიანებები**	*0.003*									
ვალდებულებების ცვლილება	**1,009.9**	**1,190.8**	**1,164.9**	**1,164.9**	**0.0**	**0.0%**	**-25.9**	**-2.2%**	**154.9**	**15.3%**
ზრდა	**1,569.7**	**1,610.0**	**1,624.1**	1,624.1	**0.0**	**0.0%**	**14.1**	**0.9%**	**54.4**	**3.5%**
საგარეო	*996.9*	*1,010.0*	*1,124.1*	*1,124.1*	*0.0*	*0.0%*	*114.1*	*11.3%*	*127.2*	*12.8%*
საშინაო	*572.8*	*600.0*	*500.0*	*500.0*	*0.0*	*0.0%*	*-100.0*	*-16.7%*	*-72.8*	*-12.7%*
კლება	**559.7**	**419.2**	**459.2**	**459.2**	**0.0**	**0.0%**	**40.0**	**9.5%**	**-100.5**	**-18.0%**
საგარეო	*503.4*	*356.0*	*396.0*	*396.0*	*0.0*	*0.0%*	*40.0*	*11.2%*	*-107.4*	*-21.3%*
საშინაო	*56.3*	*63.2*	*63.2*	*63.2*	*0.0*	*0.0%*	*0.0*	*0.0%*	*6.9*	*12.3%*
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0%**	**0.0**	**0.0%**	**0.0**	

	2014 შესრულება	2015 გეგმა	2015 პროექტი (პირველადი)	2015 პროექტი (გადამუშავებული)	2015 წ. გადამუშავებული / 2015 წ. პირველადი		2015 წ. გადამუშავებული / 2015 წ. გეგმა		2015 წ. გადამუშავებული / 2014 წ. შესრულება	
					სხვაობა	%	სხვაობა	%	სხვაობა	%
სულ შემოსულობები	**9,157.1**	**9,875.0**	**9,900.0**	**9,900.0**	**0.0**	**0.0%**	**25.0**	**0.3%**	**742.9**	**8.1%**
შემოსავლები	7,434.6	8,090.0	7,950.9	7,950.9	0.0	0.0%	-139.1	-1.7%	516.3	6.9%
არაფინანსური აქტივების კლება	80.6	85.0	235.0	235.0	0.0	0.0%	150.0	176.5%	154.4	191.5%
ფინანსური აქტივების კლება	72.1	90.0	90.0	90.0	0.0	0.0%	0.0	0.0%	17.9	24.8%
ვალდებულებების ზრდა	1,569.7	1,610.0	1,624.1	1,624.1	0.0	0.0%	14.1	0.9%	54.4	3.5%
სულ გადასახდელები	**9,009.8**	**9,575.0**	**9,575.0**	**9,575.0**	**0.0**	**0.0%**	**0.0**	**0.0%**	**565.2**	**6.3%**
ხარჯები	7,479.4	8,005.4	8,020.6	8,016.6	-4.0	0.0%	11.1	0.1%	537.2	7.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	698.5	853.2	773.7	773.7	0.0	0.0%	-79.5	-9.3%	75.3	10.8%
ფინანსური აქტივების ზრდა	272.2	297.1	321.4	325.4	4.0	1.2%	28.4	9.5%	53.2	19.6%
ვალდებულებების კლება	559.7	419.2	459.2	459.2	0.0	0.0%	40.0	9.5%	-100.5	-18.0%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**147.3**	**300.0**	**325.0**	**325.0**	**0.0**	**0.0%**	**25.0**	**8.3%**	**177.7**	**120.7%**

დანართი 2: ასიგნებების ცვლილება მხარჯავი დაწესებულებების დონეზე ჯამურ ცვლილებაში კომპონენტების ცვლილების %-ული წილის მითითებით.

		2015 წელი გეგმა	2015 წლის პროექტი	ცვლილება	ცვლილება %	რაოდენობრივ ცვლილებაში შრომის ანაზღაურების ცვლილების %-ული წილი	რაოდენობრივ ცვლილებაში არა-ფინანსური აქტივების ზრდის ცვლილების %-ული წილი	რაოდენობრივ ცვლილებაში ფინანსური აქტივების ზრდის ცვლილების %-ული წილი
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,000,000	945,501	-54,499	-5.4%	-0.4%	-120%	75%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	638,700	591,650	-47,050	-7.4%	-85%	-0.1%	0%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	120,000	85,368	-34,632	-28.9%	-67%	-9%	0%
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	292,900	267,450	-25,450	-8.7%	0%	-11%	62%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	853,900	840,800	-13,100	-1.5%	-3%	-14%	0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	32,500	20,962	-11,538	-35.5%	-44%	8%	0%
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	125,000	114,300	-10,700	-8.6%	0%	0%	29.9%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	100,000	89,500	-10,500	-10.5%	1%	-10%	0%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	100,000	91,000	-9,000	-9.0%	-56%	-37%	0%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან	60,532	54,532	-6,000	-9.9%	-25%	-75%	0%

	არსებული ორგანიზაციები							
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	155,000	150,500	-4,500	-2.9%	0%	-91%	0%
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	39,000	36,570	-2,430	-6.2%	3%	-40%	0%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	68,500	66,114	-2,386	-3.5%	-16%	-59%	0%
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	14,000	12,400	-1,600	-11.4%	-50%	0%	0%
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	70,000	69,800	-200	-0.3%	244%	-208%	0%
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,500	2,300	-200	-8.0%	-35%	0%	0%
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	95,000	94,900	-100	-0.1%	0%	0%	0%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	640,000	667,332	27,332	4.3%	62%	28%	0%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	53,000	54,050	1,050	2.0%	77%	0%	0%

პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

დანართი 3: ასიგნებების ცვლილება(2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი და 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილება) მხარჯავი დაწესებულებების დონეზე

ორგანიზ. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2014 წელი ფაქტი	2015 წელი გეგმა	2015 წ. 5 თვის შესრულება/ 2015 წ. გეგმასთან	2015 წელი პროექტი (გადამუშავებული)	2015 წ. ცვლილების პროექტი/2015 წ. გეგმა (ნომინალურ გამოსახულებაში/ზრდის ტემპი %-ად)	
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	56,606	60,532	32.9%	54,532	-6,000	-9.9%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9,563	9,800	37.6%	9,800	0	0.0%
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,385	2,000	28.3%	2,000	0	0.0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	30,373	32,500	26.3%	20,962	-11,538	-35.5%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	11,886	12,863	38.2%	12,863	0	0.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	57,600	22,500	37.2%	22,500	0	0.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,117	3,390	37.1%	3,390	0	0.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,593	6,615	36.8%	6,615	0	0.0%
09 00	საერთო სასამართლოები	47,435	50,000	34.9%	50,000	0	0.0%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,320	2,700	29.3%	2,700	0	0.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	849	900	31.1%	900	0	0.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	744	700	27.7%	700	0	0.0%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის,ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის,	992	800	37.0%	800	0	0.0%

	წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში						
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	776	800	27.5%	800	0	0.0%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	737	650	35.5%	650	0	0.0%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	717	650	36.2%	650	0	0.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	696	650	33.5%	650	0	0.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	777	1,000	32.5%	1,000	0	0.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	719	700	30.2%	700	0	0.0%
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4,984	3,100	32.6%	3,100	0	0.0%
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,255	1,200	49.2%	1,200	0	0.0%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწოროობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,298	1,350	52.5%	1,350	0	0.0%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	94,521	100,000	54.8%	91,000	-9,000	-9.0%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	88,396	120,000	39.0%	85,368	-34,632	-28.9%

პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	904,963	1,000,000	28.5%	945,501	-54,499	-5.4%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	68,235	68,500	53.7%	66,114	-2,386	-3.5%
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	150,217	155,000	36.2%	150,500	-4,500	-2.9%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	89,372	100,000	38.2%	89,500	-10,500	-10.5%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	667,413	640,000	37.7%	667,332	27,332	4.3%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო[5]	607,111	638,700	38.1%	591,650	-47,050	-7.4%
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	9,278	14,000	32.3%	12,400	-1,600	-11.4%
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	741,113	853,900	31.7%	840,800	-13,100	-1.5%
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	94,064	95,000	39.4%	94,900	-100	-0.1%
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	49,364	70,000	32.1%	70,000	0	0.0%
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2,642,784	2,785,000	41.6%	2,785,000	0	0.0%
36 00	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	168,660	125,000	24.2%	114,300	-10,700	-8.6%
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	265,756	292,900	41.8%	267,450	-25,450	-8.7%
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	32,385	39,000	31.7%	36,570	-2,430	-6.2%
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	90,682	70,000	58.4%	69,800	-200	-0.3%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	50,171	53,000	38.5%	54,050	1,050	2.0%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	3,518	4,000	46.1%	4,000	0	0.0%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	38,182	40,820	44.0%	40,820	0	0.0%

[5] აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის დამტკიცებული ასიგნებების შემცირებიდან (ჯამში 47.1 მლნ ლარი) 36 მლნ ლარი მიიმართება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ასიგნებებში 2015 წლის ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტის თანახმად (კოდით 60 00).

43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	423	1,900	19.0%	1,900	0	0.0%
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,480	3,500	50.8%	3,500	0	0.0%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,631	25,000	54.5%	25,000	0	0.0%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	3,500	3,500	52.5%	3,500	0	0.0%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	14,949	8,900	38.7%	8,900	0	0.0%
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,230	1,300	37.7%	1,300	0	0.0%
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,254	2,500	29.2%	2,300	-200	-8.0%
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	726	1,200	35.0%	1,200	0	0.0%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	588	1,450	61.0%	1,450	0	0.0%
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	3,656	500	100.0%	500	0	0.0%
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	2,949	4,500	36.2%	4,500	0	0.0%
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	1,889	7,450	19.0%	7,450	0	0.0%
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	2,238	4,200	37.7%	4,200	0	0.0%
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	0	2,150	18.7%	2,150	0	0.0%
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	59	260	29.9%	260	0	0.0%
58 00	საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1,848,467	2,026,470	36.7%	2,185,638	159,168	7.9%